

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შაღინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, მარტო მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ღირს: მთელის წლი—8 მან., ნახევარ წლი—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვის—1 მან.

საღკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

უხარისხიანი განცხადებით ასობა—1 კაპა, სასაქონლო სტატია—1 კაპა, ჩვეულებრივი სტატია—1 კაპა, პატარა—1 კაპა.

რედაქციას უფლება აქვს განუხიროს და შეამოწმოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

ზამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ზ. შაღინოვის სახლში, № 33.

მალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газетъ „Дროба“.

გაზეთის ღირს

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი მარტიდან წლის დასაწყისამდე 6 მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## საქართველო

მართებლობის განაგრძელება.

თფილისის გაზეთებმა „ოპორმა“ და „თფილისის მოამბე“, რომელიც ცენზურას ექვემდებარებიან, 4 თებერვალს შესწყვიტეს გამოცემა, ამათანავე რედაქციებმა გამოაცხადეს, რომ ეს გამოცემის შეწყვეტა მათგან დამოუკიდებელ გარემოებისაგან წარმოსდგა.

საჭიროა ცნობილ იქმნეს, რომ მოხსენებული გაზეთები არა ერთჯერ ჰბეჭდვდნენ სტატიებსა ცენზურის ნება-დაურთველათ. რომ ამ გვარი ცენზურის წესდებულების დარღვევა მომავალში აღარ მოხდეს, სტამბების ინსპექტორს ხელმეორეთ მიეცა ბძანება რათა იქონიოს სასტიკი ზედ-მხედველობა, რომ თფილისის სტამბებმა არ დაბეჭდონ სტატიები ცენზურის ნება-დაურთველათ. ამ ჩინოვნიკმა, თავისის თანამდებობის ასრულების დროს, 3 თებერვალს დამე, ერთს სტამბაში შეაყენა ამგვარი სტატიის ბეჭდვა.

ამის შემდეგ „თფილისის მოამბის“ და „ოპორმა“ რედაქციებმა შესწყვიტეს გაზეთების გამოცემა.

სხალია რომ, იმ დონის-ძიებას, რომელიც მიღებული იყო იმ განზრახვით რომ გაზეთებში, რომელიც ცენზურას ექვემდებარებიან, არ იბეჭდებოდეს სტატიები ცენზურის ნება-დაურთველათ, მომავალშიც ექნება ძალი, როგორც დამყარებულსა მოქმედ კანონმდებლობაზე.

### დღიური

\* \* \* თემის ხეობიდან გვწერენ: \* \* \* წელს ოთხი სასოფლო შკოლა გაიმართა: ძაფთხევისა, მეტეხისა, ახალქალაქისა და ზომისა; სამი შკოლის მასწავლებლებმა კაფთხევისამ, მეტეხისამ და ახალქალაქისამ „დებოებიც“ მოახერხეს და წესდებანი წარუდგინეს მთავრობას; შაგირდებიც ბლომთა ჰყავთ ყველგან და ესლა ამზადებენ შკოლებისთვის შენობებს.

„თანამგრძობელნიც გამოუჩნდნენ ამ კეთილ საქმესა: როგორც გვესმის კაფთხევი ყველაზე თანაუგრძობს შკოლას თ. მანო ლუკასძე თარხნიშვილი, ზომში—მამა კასრაძე, ახალქალაქს—თ. ბიგო და მანო თარხნიშვილები და მეტეხში—აზ. ივანე მალალაშვილი და მამასახლისი აზმეიფარაშვილი.“

\* \* \* „ძაკაზი“ ვვაცნობებს, რომ ამ დღეებში პოლიციის განკარგულებით დაწვეს 100 ფუთამდე ღორის ქონი, რომელიც თფილისის მოქალაქის მურადოვის სარდაფში იყო, და რომელიც გასაღებისთვის უფარგისი იყო. გარდა ამისა იარაღუკაში პოლიციამ ამოაჩინა 14 ბრუნდეს სასწორი სხვა და სხვა ვაჭრებთან და ესენი სამართალში მიეცენ.

\* \* \* ამ დღეებში ჩამოვიდა მალაქში და მთავარ-მართებელს გამოეცხადა დეპუტაცია, რომელიც გამოგზავნა 38 შობულეთელ სახლობამ. ის სახლობანი ომიანობის დროს გადმოსახლებულ იყვნენ ზურიაში, ბათუმის ჩაბარების შემდეგ რუსის მართებლობამ ამათ უბრძანა თავიანთ სამშობლოში წასვლისა, მაგრამ მათ მოძმეებს ვითომც გადადგომისთვის ამათი სახლ-კარი გადაეწვიათ. მთელი ზამთარი ამ 38 სახლობამ მინდორში უსახლოთ გაატარა; ახლა დე-

პუტაცია გამოგზავნიათ მთავარ-მართებელთან შემწეობის სათხოვნელათ.

\* \* \* სამეგრელოდამ ეწერებიან, რომ სოფ. აბედათში შობის შემდეგ შკოლის მასწავლებელი სხვაგან გაგზავნეს და ამის მაგიერათ სხვა მასწავლებელი ჯერაც არ დაუნიშნაეთო და ამით ბავშვები ცდებიანო.

\* \* \* იქილამვე გვწერენ, რომ სამეგრელოში ბერი ლაპარაკია ახლა სასულიერო მასწავლებლის გადატანაზე ს. მარტვილიდამ ზუგდიდში ან ძველ-სენაკში და მოელიან სამღვდლოების კრებას, რომელიც ამის თაობაზე უნდა შესდგეს მარტში და ეს საქმე გადაწყვიტოს.

### წერილი რედაქტორთან

„დროების“ 24 ნომერში მოყვანილი იყო ორიოდ სიტყვა თფილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოსწავლის თოფურის სიკვდილზე და ამისი სიკვდილის მიზეზიც. რაც ამ შენიშვნაში ეწერა აქაური შაგირდების შენახვაზე ეს ხომ დაურღვეველი ჭეშმარიტება არის, მაგრამ აქ კიდევ არ იყო მოხსენებული ყველა ის მიზეზები, რომელთა გამოც ასე ხშირათ იხრცებიან ამ სემინარიის მოსწავლენი.

ის მიზეზები ვახლავსთ აგრეთვე აქაური მოსწავლეების ცუდი ტანისამოსი და დახშული ცხოვრება. ამათ ეძლევათ სამ წელიწადში თითო პალტო, რომელიც არის თხელი მაუდისა ამასთანავე ძალიან სუბუქათ დაბამებული არის, და ორ წელიწადში თითო სერთუკი, შალვარი და ჟილეტა. წარმოიდგინეთ აბა როგორ უნდა იმყოფინოს საწყალმა მოსწავლემ ორ სამ წელიწადს ამისთანა ტანისამოსები. მსენი ამათ პირველ წელიწადსავე აცვდებათ და შემდეგ წლებისათვის, ვისაც შეძლება აქვს უნდა თავისი ფულით მოიმზადოს თბილი ტანისამოსი, რომ სიცვიით არ მოკვდეს და ვისაც არაფერი გააჩნია ის იძულებული არი შემდეგ წლებშიაც იმავე ტანისამოსში დარჩეს. მსენი საცოდავთ შამოფლეტილები ზამთრის ყინვებში დაიარებიან ძველი პალტოებით და საზაფხულო პარუსინის შარავლებით აბანოში, იქილგან გამოსულნი ცივდებიან ქუჩაში, მოხდით ანთება და ზოგი კვდება და ზოგი ძლივს გაჭირვებით რჩება. ამ

გვარი გაცივებისაგან მოკვდა ამას წინათ ერთი პირველი კლასის მოსწავლე სურდულაძე.

სული საქმელისა და სიცივისაგან შეწყუბუნებულნი აქაური მოსწავლენი მოკლებული არიან იმ თავის-უფლებასაც, რომ ხან-და-ხან უქმე დღეებში სემინარიიდან გამოვიდნ ხოლმე და წმინდა ჰაერით ისარგებლონ. თუ აქაურ მოსწავლეს სემინარიიდან უქმე დღეს გსულა უნდა, ეს მიდის აქაურ ინსპექტორთან და ნებასა სთხოვს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ეს ძუფუნისკიმ აგრე აღვილათ არ გაუშვას! ამას მოსწავლემ უნდა უთხრას ვისთან მიდის, რა ხელობის კაცია ვისთანაც მიდის, ანუ ამისი რანათესავია, უნდა უჩვენოს ამ მოსწავლემ რომელ ქუჩაში და რომელ სახლში ცხოვრობს ვისთანაც მიდის და რა საქმეზე მიდის იმასთან.

ამაგებს რომ უჩვენებს მოსწავლე, იმას თუ ქეიფში მოუვიდა მისცემს წასვლის ნებას, თუ არა და ამის შემდეგაც უარს ეტყვის. მისაც დაითხოვს ის უნდა პირდაპირ იქ წავიდეს ვისთანაც დაეთხოვა, მოისაქმოს თავისი საქმე და მერე სემინარიიში დაბრუნდეს, თუ ასე არ მოიქცა და ეს გაუგო ძუფუნისკიმ მაშინ ვაი ამისი ბრალო, — დაამწყვდევს სემინარიიში და ორ-სამ თვეს რაც უნდა გაუტვირდეს სემინარიიდან აღარ გაუშვებს.

აგრეთვე შესანიშნავი არის ამ სემინარიის რექტორის ეკონომიაც: სემინარიიში რომელი შაგირდიც მიიცვლება რექტორი ვალდებულია ეს მიცვალბული საეკლესიო ხარჯით გაასვენოს, მაგრამ ეს სულ სხვებზე იქცევა ამგვარ შემთხვევაში. მა იმასა ცდილობს, რომ ამ შაგირდის გასვენებაზე ისევ საწყალი მოსწავლის პატრონს გადახდებინოს ხარჯი. აი ორი მაგალითი: ამას წინეთ რომ პირველი კლასის მოსწავლე სურდულაძე მოკვდა (ეს განხლათ ობოლი და საეკლესიო ხარჯზედ იზრდებოდა) ჯიბეში დარჩა სამი მანეთი ფული და ორმოცი მანეთის თამასუქი, რომელიც ერთ აქაურ კაცს მართებოდა ამის დედისა. ეს ფული და თამასუქიც წაიღო რექტორმა.

სურდულაძის სიკვდილისა და დასაფლავების შემდეგ ჩამოვიდა მისი დედა, რომელსაც ჩამოჰყვა ერთი პატარა შვილი, სიღარიბისა გამო ძალიან ცუდათ ჩაცმული. შვილიც თავისი შვილის თამასუქი და ფული მოითხოვა, მამა რექტორმა ჯერ უარი უთხრა მას, — ფული შენი შვილის დასაფლავებაზე დაგეხარჯაო; მაგრამ ქერიფი რომ აღარ მოეშვა, ამან თამასუქი მისცა და ფულზე კი გადაწყვეტილი უარი უთხრა.

ახლა მოკვდა აქ მესამე კლასის მოსწავლე მოფურია. ამის დასაფლავებამდის ჩამოვიდა მისი მოხუცებული ბიძა, რომელმაც მიცვალბულის წაღება ისურვა, მაგრამ რკინის გზის ხარჯი ბევრი მოუვიდა, ასე რომ ფული აღარ დარჩა რკინის გზის სტანციასზე მიცვალბულის გასატანათ ბალდახინი ექი-

რანა. სთხოვს მამა რექტორს, რომ ამაზე მაინც შეწყვიდა მიცვალბულის პატრონს, მაგრამ ამან უარი უთხრა. მაშინ მიცვალბულის ამხანაგებმა შეიბრალებს თავისი ამხანაგის ჭირისუფალი და თვითონ თავის სელით გაიტანეს მიცვალბული სახანციამდე.

აი ასეთ მაგალითებს აძლევს კაცთ შებრალებისას ჩვენი სულიერი მამა რექტორი თავის მოწაფეებს. Z.

„დროების“ კორამსკონდენსია

— შუშა, 20 თებერვალს. თუ რა მდგომარეობაშია აქაური საქალაქო სასწავლებელი ერთ პედაგოგის ხელში, ვერც ენა გამოსთქვამს და ვერც კალამი აღწერს. ორიოდ სიტყვა მინდა მოგახსენოთ ამ შუშის საქალაქო სასწავლებელზე — საზოგადოთ და ხსენებულ პედაგოგზე — განსაკუთრებით.

შუშაში საქალაქო სასწავლებელი განლაგეთ ოთხ-კლასიანი, მოსწავლეების რიცხვი ოთხასზე მეტია. ამ რიცხვს უფრო მოემატებოდა, შესაფერი სახლები რომ ექირავებიათ შკოლისათვის.

წელს თითქმის ასამდინ მსურველი იყო შკოლაში შესასვლელად, მაგრამ ყველას უარი უთხრეს. — მერ მივიღებთო, ადგილი არა გვაქვსო. მისი ბრალია მერე? ნუ თუ შუშაში სხვა სახლი არ მოიძიება, უფრო დიდიც და უფრო კარგიც? ბევრი, ძალიან ბევრა ამისთანა სახლები, მაგრამ ვინაა პატრონი!

სახლის სპატარავეს ვინ დაზღვედა, ცოტა რიგვანი რომ მაინც ყოფილიყო; წარმოიდგინეთ პატარა, ვიწრო ჭუჭყიანი ოთახები, რომლებშიაც 50-60 ყმაწვილი იმყოფება. წარმოიდგინეთ ახლა თუ რა ჰაერი უნდა იდგეს ამ ოთახებში. ზამთარში ხომ ვაი ყმაწვილების ბრალო: ყოველ კუთხილამ, საითაც კი მიიხედავთ, გააქვს ქარს გრიალი. მობუზულნი, დალურჯებულნი სიცივის გამო, სხდან ეს საწყალი ბავშვები ხმა-ჩაწყვეტილნი და ვაი იმის ბრალო, ვინც კი გაბედავს სიცივის თქმას. — მასწავლებელი უბრძანებს შაგირდებს, „მოემზადეთ წერისთვის“. შმაწვილები დაფათურდებიან, ამოიღებენ რეყულებს, კალმებს; ჩახედეს საწერელში და რა ნახეს: თურმე ნუ იტყვიო, მეღანი გაყინულიყო! ბუხრებში ცეცხლს ან სუთ არ ანთებენ და ან თუ დაანთეს, ისიც ორ ღერს შესდებენ და ამითი ათავენენ. ნუ დივიწყებთ, რომ ამ სასწავლებელს, გარდა იმისა რომ მმართველობისაგან ეძლევა ფული, თავისი საკუთარი საშუალებაც აქვს.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ყოველ გვარ სასწავლებელში ერთი საზოგადო ოთახია მასწავლებელთათვის, სადაც ესენი გროვდებიან ხოლმე გაკვეთილების შემდეგ, მოსასვენებლად. ამ ოთახში ვერც ერთ სკამს ვერ ნახავთ, რომ პატარახანს ჩამოჯდეთ და სული მოიბრუნოთ. თუ მოგწყურდა, წყალს ტყუილად ნუ მოიკითხავ; ან სახლში უნდა

გაიქცე წყლის დასაღვეად და ან მეზობლისას. ნუ თუ ერთი ბრჩენი უსაც ალარა აქვსთ? ზამთარში მთავრეწულს მაგიერად თოვლს ხმარობენ.

ეს კიდევ არაფერი. ჯანი გავარდეს, ამ ურიგობას კაცი კიდევ აუეილოდა. მაგრამ ცემა-ტყევისა კი რა მოგახსენოთ. არ თქმულა და არ გაგონილა ამისთანა ვაი-ვაგლანი, რაც დღეს შუშის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებს ხედებათ. მერე ვისგან? ახალ გამოცხვარ პედაგოგისაგან, რომელსაც სულ სამი წელიწადია, რაც შეუსრულებია სწავლა ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში. სიღების და მუშტების ქმევა, ცხვირ-პირის დაღწევა, ფხვებ-ქვეშ გასრესა, ტანისამოსის შემოხვევა, ხუთ-ხუთ დღეობით უსადილოთ დაყენება არაფრად არ მიჩნია ამ პედაგოგს. ზინებას და ლანძღვას ხომ თქმა არ უნდა. „დროების“ მკითხველებს ესხომებათ ის ლექსიკონი, (შედგენილი ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორისაგან), რომელიც ამ ორი წლის წინათ იყო დაბეჭდილი „დროებაში“. ამ ლექსიკონით ეს უფ. პედაგოგი ხელთმძღვანელობს, თავის დამატებით. (თურმე ეს პედაგოგი საყვარელი მოწაფე ყოფილა უფ. ზახაროვისა).

აქ მოვიყვან რამდენსამე ფაქტურს: შემოდის უფ. ნიკოლაევი (გვარი ამ პედაგოგისა) კლისში შუშაში გახვეული მალალ-ყელიან თბილ კალოშებში ყაბალან-შემოხვეული და თბილ ხელ-თათმანებში. ათვალეირებს ყმაწვილებს, ხომ არავენ ზის პალტოთი, ან ყელზე შარფი ხომ არ ახვევია. აგერ არ დაინახა... მივარდება ბავშვს და დაუწყებს ცემას, ზედ მიყოლებით. „ჰა შე ვირო! შე ღორო, შენა! შე მამა.....“ აქი არ გაწყრა ღმერთი და მოთმინებიდამ გამოსულმა ყმაწვილმა სიტყვა არ შეუბრუნა: „რახე მცემთ, რა დეაშავე, ლამის გაყვინდე შე დალოცვილო და რაქნა მამ!“ უყურეთ მაშინ ამ გაბრახებულ პედაგოგს! მივარდება, წაავლებს თმებში ხელს, გამოათრევს, დასცემს იატაკზე და დაუწყებს ფხვებით ზელვას. ბევრჯელ შესწუხებია გული ყმაწვილებს და ძლივს მოუბრუნებიათ.

ან კიდევ შეამჩნია რომ ყმაწვილის პერანგის სახელი აქვს გარდვეული-მივარდება და სულ მთლათ შემოახვეს ტანისამოსს, მიყოლებს სიღებს და გაისტუმრებს სახლში. აგერ დაინახავთ ქუჩაში ჯგუფათ მომავალ ყმაწვილებს შკოლილამ უქუდოთ — რა ამბავია, ეკითხებით მათ, ქუდები რა გიქნიათ? — ნიკოლაევი ბუხარში დაგვიწვა. — რათა? — ბუშინ გამოგვიცხადა ბატონო, ეგ ქუდები გამოიცვალეთო და კვებები იყიდეთო. ასე უცბათ, აბა ვინ შეეკრავს. მიველით დღეს შკოლაში ძველ ქუდებით და დაგვიწვა.

მიიღეთ მხედველობაში რომ მომეტებული ნაწილი მოსწავლეთა ღარიბი კაცის შვილები არიან.

საიღამ მოიგონა ამ უფ. ნიკოლაევი კვებების შემოღება საქალაქო სასწავლე-



ბელში,—ჩვენ ეს არ ვცდით. მრავალ სხვა ფაქტებს მოვიყვანდი კიდევ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. იქნება, მკითხველო არ დაიჯერო და სთქვა: „მოვლად შეუძლებელია ამისთანა საქმეების ჩადენა.“ სწორედ არ იქნებოდა დასაჯერი, მართალი რომ არ იყოს. შეველა ამ სამწუხარო ამბების მნახველი მე თვითონ გახლავარ.

ამ სასწავლებელს, რასაკვირველია ინსპექტორი ჰყავს, მაგრამ რაღაც ლოზიო კაცია. ეს დაცოცვილი ძალის მეტს არას აკეთებს (რ. შურს არას უგდებს რასაც კი ეტყვის ეს უფ. ნიკოლაევი, იმას შერება. ამხანაგებდაც შიშით ვერა უთხრეს რა. თუ უთხარი რამე, მაშინვე მუშტს მოგიდგერებს მართის სიტყვით დაგვიმწარა ცხოვრება ამ ღერქმორდა—პედაგოგმა.

შარბაღში მყოფი ქართველი

# უცხო ქვეყნები

ბოლბარია

(„დროების“ კორესპონდენცია)

**აღრიანოპოლი, 7 თებერვალს.** აღრიანოპოლი (მდირნე) შესანიშნავი ქალაქია ისტორიულის მხრით, ეს იყო და ეხლაც უწოდებენ მეროპიის ოსმალეთის მეორე დედა ქალაქად. ამის დაარსებისა და სხვა ძველ დროების აღწერას დრომდის თავი დავანებოთ და შეუდგეთ ახალ მდგომარეობისას.

ამ უკანასკნელს ომიანობამდის მდირნე არავითარ შესამჩნევ სურათს არ წარმოადგენდა, ქუჩაში თუ ჩხუბი მოუვიდოდა ვისმეს და ეს მოახდენდა ხმაურობას რომელიმე ნაწილს ქალაქისას, თორემ იყო თავისთვის მიყრუებული როგორც მოგვსენებათ საზოგადოთ ოსმალთს დიდი და პატარა ქალაქების ხასიათი. მიუხედავად სიმხიარულის მხოლოდ ძავეკაზიის ქალაქებში შექმნდებოდა, ნამეტნავათ, საქართველოში, სხვაგან კი იშვიათია. აქ ყველაზედ უმრავლესი ყანახანებია, აქაური სასტუმროები. წარმოიდგინეთ „პისერას ბაი“ ავლაბრის შეიდანზედ და ნამდვილ კმაყოფილებას მიიღებს თქვენი ცნობის მოყვარეობა ამ საგანზედ. მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში რაც ჩვენს ხელშია ეს მდირნე სრულეებით სხვა ფერითა და ხასიათით შეიმოსა—გაიხსნა მრავალი სასტუმრო, თიატრები, ფრანკუზული, სომხური, რუსული, იტალიანური ოპერა, ბალეტი, სხვა და სხვა ქვეყნიდან მიჩანგე ქალები. ამის გარდა სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსულმა ურბებმა, სომხებმა და სხვათა ცხანსეს მრავალი ძვირფასი საქონლის მაგაზინა, რომელიც ედისნეს სიზმარშია არ უნახავს ამის უწინარეს და ამ სახით მართლაც დაემსგავსა ნამდვილ სატახტო ქალაქს.

ქალაქის ქუჩები ვიწროა და სახლები იჭუტუტულები ერთი ერთმანეთზედ, ამათი ბევრი კარგი შენობაა წამოკიმული

თეთრი მარმარილოთ მოკირწყლული, მარმარილოსავე აუზებით, ყვავილებით და სხვა სიმშვენიერებით შემკული აღმოსავლეთის გემოვნების დაგვარად. აქ ყველაზედ შესანიშნავი ორი შენობაა: ერთი სულეიმან ჯამი (მეჩეთი) და მეორეც შაკო ჯამი (ძველი მეჩეთი).

ამ ერთი წლის გაფაციცებული შრომა და იმედი სულ ჩაშალა მშვიდობამ და ჩვენმა აქედან გასვლამ: ბევრი წავიდწამოვიდნენ და დანარჩენიც ჩვენს უკანასკნელ გამოხალმებას შეჰყურებენ ესე იგი ამ თვის გასულს; ბევრი ამათაგანი გაკოტრდა და ბევრმა ჯიბე გაივსო ჩვენი მოწინავე ჯარი დაიძრა თავის ალაგინამ და დაბრუნდა შინა; ამბობენ რომ ყველანი აპრილის გასვლამდის რუსეთში უნდა ვიყუეთო. ბევრო რაც ვიომეთ!..

სხუთს ამ თვეს აქ დიდი შესანიშნავი შემთხვევა და არეულობა მოხდა ბულგარები და ზოგიერთი ბერძნებიც ნამეტნავათ ქალები და დედა-კაცები აბუნტდნენ, მიუტყდნენ ბერძნების არქიელს და ლახათიანათ მიტყვენს, ცხვირ-პირილამ სისხლი აღინეს, წვერები გააბღვიენეს, ხელი და ფეხიც უღრძვეს. შალები მისცივიდნენ ანაფორას ქვეშ დაფარულს ადგილას და წესიერათ მიუსრისეს ასე, რომ დაბუქებული აქვსო თურქმ. სომხების არქიერსაც უპირებდნენ ამ წესის აგებას მაგრამ დამალათ. დანაშავეები დაიჭირეს მაგრამ უარესი აყალმაყალი შეიქნა პონაკში (სასამართლოში) შეიყარა რამოდენიმე ათასამდის ქალი და კაცი და აღელვებულის სიტყვებით მოსთხოვეს მთავრობას, რომ ამ საგანზედ დატუსაღებულები გაანთავისუფლონ თორემ უფრო ცუდი შედეგით გათავდება საქმეო. მართლაც მეტი ღონის-ძიება არ იყო, უნდა აესრულებინათ მოთხოვნილება რამოდენათაც შესაძლებელი იქნებოდა და მხოლოდ მცირედი ნაწილი-ღაა დატუსაღებული და სასტიკი გამოძიებაა დანიშნული. როგორც საქმიდამას სჩანს ეგონებ ამათაც გაანთავისუფლებენ თუ სხვა ფათერაკი არ გადაეკიდათ და მერე ოსმალეებმა თითონ იციან...

ახლო-მახლო სოფლებიდანაც მრავალი ხალხია მოსული ამის თაობაზედ და ელიან კიდევ რაღაც არეულობას თუ მთავრობამ ხერხიანი ღონის-ძიება არ მიიღო ამ საგანზედ.

არქიელის მიტყების მიზეზი ის იყო მომეტებულიათ, რომ ამ ღვაწლთ შემოსილმა სამღვთო პირმა აქაური ბულგარებისა და ბერძნების მაგიერათ ტყუილი აღრესი გაგზავნა სტამბოლში იმ შინაარსით, რომ „დაგვიხსენით რუსის მოურაობისაგანაო და სხ...“ რაკი შეიტყვეს ეს ამბავი ბულგარებმა და ბულგარების თანამგრძობმა ბერძნებმა ძრიელ ითაკილეს ამ გვარი ცრუ ცილის წამება და სულის მდაბლობა და ამათაც იმიტომ თითქმის იმავე საწყაულით მიუწყეს პატივცემულ არქიელს ამასაც ამბობენ, რომ ამ არქიელის წყალობით თურმე მრავალნი ბულგარნი ჩამოჰკიდეს სახრხოებლახე ოსმალეებმაო.

ამ არეულობის გამო ცოტა არა რომ

რეუფ-ფაშაც შეშინდა, ~~ქმის~~ ~~გამო~~ ჩვენი კორპუსის უფროსის ბრძანებით დროებით დაგვინიშნეს—მე ყანახებით და ერთი როტა სალდათები იმის სასახლეში იმ განზრახვით, რომ, თუ ბულგარებმა ამისი დაჩქევაც გაბედეს როგორც განზრახვა აქვსთ თურმე,—არ მივახწვევით იმ შემთხვევამდისინ. მე იმავე დღეს გამოვეცხადე რეუფ-ფაშას და მოვანსენე ჩემი დანიშნულება, მითომც იამა და ძალიან პატივის ცემით მიმიღო.

მითონ რეუფ-ფაშა ჩერქეზის ჩამომავლობისაა, ტანადობაც და სახეც ამტკიცებს ამას,—პირ-ხმელი კაცია, ფერ მოხდილი, მიმინოსავით თვალები და სხ... მრავალნი ამბობენ ვითომც გულითაც კი კაციაო მაგრამ რაც არ ვიცი მე იმის შესახებ ვერას მოვახსენებთ. ეს იყო და არის ოსმალების მოწინავე ჯარის უფროსი და ამას გარდა აღრიანოპოლის სამხედრო გენერალ-გუბერნატორათ არის დანიშნული. ამას გარდა სამოქალაქო უწყების ვიცე-გუბერნატორათ ბერძენია დანიშნული და როგორც ლაპარაკში და მოქმედებაში ეტყობა თავისი საქმე მკიდროთ უნდა იცოდეს; ყოველ დღე რამდენჯერმე რეუფ-ფაშასთან მოდის და ძალიან ჩაფიქრებით თათბირობენ. აქაურ ზოგიერთ თანამოძმე ბერძნებზე ჩქარა იქონია გავლენა.

ბუშინ არხიმანდრიტი X X მოვიდა რეუფ-ფაშასთან და რაღაც საიმედო სასიამოვნო ამბავი მოახსენა. შემდეგ არხიმანდრიტისა რამოდენსავე ხნის შემდეგ კანტი-კუნტათ სოფლელი ბერძნის მღვდლები ფაშას გამოეცხადნენ სოფლისავე წარმომადგენელ „გოგია-ტეტიეებით“ და ამ სახით ყოველს დღეს მოდიან და სალამს აძლევენ; ამის გამო ფაშა ძალიან კმაყოფილია და სეკლეტორიც რაღაცა ოსმალურათ დაწერილ ბარათებს ურიგებს სანუგეზოთ...

ჩემი აქ ყოფნა როგორც შევნიშნე ბოლოს, არ ექაშნიკათ და ძალიან გულს მოდგინეთ სწადიან შეტყობა—მე ოსმალურს ვლაპარაკობ თურა და ან ამათი მოქმედების მიზანი თუ მესმის! ჩემო ძამიავ! ყველას გიცნობთ რა შეილებიცა ხართ მაგრამ... ენახავთ რითაც გათავდება საქმე. მართული ანდაზა: „გამქცევიც ღმერთს ეხვეწებოდა და მოაწვენიცაო!“...

ზ. ზრემელი

# ბელბარაგები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ქანევა, 25 თებერვალს.** აქ უეცრად გარდაიცვალა ფელდმარშალი თ. ბარიათინსკი.

**ლონდონი, 26 თებერვალს.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დოქტორები ძოლოვილი და პენ იგზავნებიან რუსეთში ჟამის ავთიმყოფობის გამოსაკვლეველად. სმიტმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ინგლისი



ფლიტი ამ ორ ღღეში გამოვა მარმარილოს ზღვიდამაო.

კატარბურლი, 27 თებერვალს. ღღეს გამოცხადა იპკერატორს ინგლისის ახალი ვლხი. ბრათვი ლორის მელიქოვი იწერება დღეშით, რომ სოფ. პრიშიბში ოთხი სახლი დაუწვავს, სადაც ჟამიანი აეთმყოფები წოლილა.

კატარბურლის ბირჟა, 1 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)	
ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — — —	96—62
მეორე — — — — —	96—12
მესამესი — — — — —	95—25
მეოთხესი — — — — —	95—62
აღმოსავლეთის პირ. — — —	93—25
აღმოსავლეთის მეორე — — —	93—25
მ. ქრო, 1/2 იმპერიალი — — —	8—41
თფილ. თაყად-ან. ბანკის	
გირაოს ფურცელი — — — —	93—50
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — —	236—50
მეორე სესხის — — — —	235—
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — — —	23—50
პარისი — — — — —	116—25
ბერლინი — — — — —	199—25
პარიჟი — — — — —	24—8
ბაგდადის კერასინი — — —	—

### ბანსხაღებანი

თფილისის მოქალაქემ მიხეილ შაუვოშმა შეიტანა თფილისის მთავარ-პოლიციმეისტერთან განცხადება, რომ მან ამ სამი თვის წინათ დაჰკარგა 500 მანეთის ბანკის ბილეთი № 834 და სთხოვუფ. პოლიციმეისტერს, რათა მოახდინოს განკარგულება ამ ბილეთის მოძებნისა.

(3—2)

მზაუნეელი რჩება თფილისის მიხაილოვის ტ. ხნიპური და რკინის გზის სასწავლებელის მიიღებს რა მხედველობაში, რომ პეერი არიან მსურველები ამ სასწავლებელში შესვლისა და ამის გამო საჭიროდ რაცნს გამოაცხადოს, რომ წელს ამ სასწავლებელში მისაღები უზამხმევი დაიწყება აგვისტოს 16ს და აგრძელდება ვიდრე 1 ენკენისთვეამდინ.

მ. ა. ც. სასწავლებელში შესვლა ჰსურს, თხოვნა და ჯეროვანი დოკუმენტები ავფიტოს 1 რიცხვიდამ უნდა წარუდგინოს სასწავლებლის ზედამხედველს.

სა. წავლებელში შესვლისათვის შემდეგი პირობებია საჭირო: 1) თერთმეტ წელიწადზე ნაკლებისა და ჩვიდმეტზე მომეტე ულის არ უნდა იყვეს, 2) უნდა იყოს რუსის ქვეშევრდომი და 3) ისეთი რამ სხეულის ნაკულუფევანება არ უნდა ჰქონდეს, რომ რკინის გზაზე სამსახური დაუშალოს.

პირველს (მოსამზადებელს) კლასში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: სამღვთო წერილი და მ — უმთავრესი ღოცებები; რუსული ენა და მ — თავისუფლად კითხვა, წაკითხულის თქმა, თავის სიტყვით წერა სხვისი თქმით (დიდი შეცდომებით არ უნდა სწეროს) და უბრალო წინადადების ახსნა (როგორც სამოქალაქო შკოლებში მეორე წელს იცან); არითმეტიკი და მ — უნდა იცოდეს უფრო ციფრები, პირველი ოთხი მოქმედება.

მ. სასწავლ. ბელში შაგირდებს შეუძლიანთ პურის-ჭამა: თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. შაგირდს მიეცემა ზუღამ დღე საღილი და საუზმე.

(3—2)

### „ჰაეროსტატი“

პაჰელია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

გამოვიდა და ისარიდგა

### „ბუთიაჩკა“

ვოდეშლი

ბაპაქი ჟირათლისა

ისპიღება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

მ. თ. თ. ა. შ. — უფ. ძ. მესხის წიგნის მალაზიში.

ფასი—მართი აბაზი.

თფილისში უფ. მ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიში და მ. შუთაისში უფ. პოტე მესხის წიგნის მალაზიში ისპიღება:

### ალმანახი

შედგენილი

მ. თუშანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული მ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

სიკატალოც

დაიბეჭდა და ისყიდება მ. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია: „რძალი, გული და მამანიკაში“—თფილისში: ბრიქუროვის, მართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მალაზიში.

მალაღიკავკაზს: ბიორგი ბარათოვთან, ბორში: ზაქარია ღონდაროვთან, ცხინვალში: თ. მანო. მათქაოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო. ღიასამესწის მუჯერის ხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, მ. თ. თ. ა. შ. მესხის წიგნის მალაზიში და მ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სინარულიძესთან, შოთში, მლიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

რპ. ბზა.	ღილა.	ს.ლაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ.კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 1 მარტს.		მრგენს მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ბაგდადის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	160	აეთამყოფებს მიიღენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯი	11 5	8 43	3	153	როსტო, მდესას, მოსკოვს	2	შველი წითელი	130	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბარლევინი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ხაშური	12 9	11 57	4	73	პეტერბურღ, მარაგას.	2	მერი ფუთი	120	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სურამი	144		4	90	მსხალ. თშ, შვიტ. რაში.	3	ბაზა მრგენისა, ფუთი	740	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შვირილა	5 49		7	21	იტალია და სფრანგეთში.	3	—პმერიკისა, ფუთი	860	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
რიონი	6 57		8	44	ინგლისში.	3	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	970	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სამტრედი	7 51		9	66		3	მატყელი თუშური ფუთი.	670	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	8 43		10	71		3	—თარაქამისა ფუთი	450	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შოთი	9 50		12	24		3	აბრეშუმი ნუხური სტ.	210	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შოთი	9	3			ფოხტა		მონი, ფუთი	580	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	10 14		1	53	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთასს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. პანეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურ.—გვთს—ორშ. და პარასკ.		მონის სანთელი ფუთი	750	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სამტრედი	11 5		2	61	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სტეარინის სანთელი, ფთ.	1250	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
რიონი	12 13		3	84	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შვირილა	118	ლაგ.	5	3	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		—ცხვრისა, ლიტრა	18	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სურამი	5 12		1	10	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სპირტი ვედრო	460	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ხაშური	5 39		1	37	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შაქარი, ბროც. ფუთი	740	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ბორჯი	7 5		4	8	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		—ფხვნილი ფუთი	550	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
მცხეთა	8 50		6	59	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვლი, გირგ.	70	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
თფილისი	9 31		7	56	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	1180	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
			12	24	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		თამბაქო, საშუალო ფთ.	670	სამშაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთა, მ. იუნარინი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.